სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 21 0001187555

04/11/2021

**2021 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სასწავლო განრიგის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის № 481 დადგენილების, საქართველოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 06 ივლისის N673778 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 21 სექტემბრის MES 1 21 0000958551 ბრძანების, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021 წლის (საშემოდგომო მიღება) მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაიწყოს 2021 წლის 08 ნოემბრიდან.

2.სწავლება და შეფასება განხორციელდეს სასწავლო გეგმისა და მოდულების მიხედვით.

3.სასწავლო პროცესი წარიმართოს შერეული ფორმით:

ა) პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობები, რომელთა პროცესში სტუდენტების მონაწილეობა აუცილებლობას წარმოადგენს, წარიმართოს არადისტანციურ რეჟიმში;

ბ) სასწავლო პროცესის სხვა კომპონენტები (თეორიული ნაწილი) წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში.

4.ბრძანების შესრულება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსს ედიშერ კვესიტაძეს.

5.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.

6.ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.

7.ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

რექტორი
გურგენიძე დავით